17-ს აპრილს | წელიწადი მეორე. | 1884 წელსა.

# მწყემსი

№ 8.

Библиотека-... имени Акад. И. Гри... Академии...

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით. გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი. განჩინება უწმიდესი სინოდისა.—სია დაჯილდოებულთა სასულიერო პირთა.—არა ოფიციალური ნაწილი. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.—ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში.—კახეთის სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა.—საჯარო ლექცია.—ძველი მწერლობა.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა—განცხადებანი.

## ოფიციალური ნაწილი.

### განჩინება უწმიდესი სინოდისა.

**15—20 მარტიდამ 1884 წლისა № 560 დაჯილდოებაზე სასულიერო წოდების პირთა სასულიერო უწყებისამებრ.**

Იქაზისამებრ მისის იმპერატორებითი დიდებულებისა Უწმიდესმა და Უმართებულესმა Სინოდმა მოისმინა რა წარმოდგინებანი ეპარხიის მღვდელთ-მთავართა დასაჯილდოებლად სასულიერო პირთა სასულიერო უწყებისამებრ, ვბრძანეთ: საფუძველსა ზედა მოხსენილთა მსჯელობათა, Უწმიდესი სინოდი განაწესებს: მოხსენებულნი ამასთანავე შთადებულსა სიასა შინა სასულიერო პირნი ღირს იქმნენ დაჯილდოებისა მოხსენებულითა სიასა შინა ჯილდოებითა, რაზედაც საუწყებლად ეპარხიის მღვდელ-მთავართა დაიბეჭდოს ამასთანავე შთადებული სია დაჯილდოებულთა პირთა „საეკლესიო მახარებელში“.

**სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც სამსახურისათვის სასულიერო უწყებისამებრ დაჯილდოვდნენ უწმიდესი სინოდის მიერ პასექის დღეს 1884 წ.**

Საქართველოს საექსარხოსოში: — ა) ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ: — საქართველოს ეპარხიაში, გორის უეზდის, ბორჯომის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელი იოსებ ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ. და იმერეთის ეპარხიაში, რაჭის მაზ-

რის სოფლის ბარის ეკკლესიის მღვდელი ალექსი **ჭიჭინაძე**. ბ) **მკერდის ჯვრებითა უწმიდესი სინოდისაგან ბოძებულითა**.—საქართველოს ეპარქიაში, ქალაქ თფილისის კათედრის სობოროს მღვდელი გრიგოლი **პეტრიევი**. ქ. ნახიჩევანის ვლადიმირის ეკკლესიის მღვდელი გაბრიილ **გურბელაძე**; ვლადიკავკაზის ოლქის Ⴖვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი დავით **აგლაძე**; წინამძღვარი ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრისა, სუხუმის ოლქში, აბხაზეთის ეპარხიისა, იღუმენი **იერონ**; **იმერეთის ეპარხიაში**, ლეჩხუმის მაზრის, სოფლის ძღნორის ეკკლესიის მღვდელი გიორგი **ასათიანი**; ქალაქ ქუთაისის ალექსანდრე ნევის კათედრის სობოროს მღვდელი იოსებ **კიკაჩეიშვილი**; ქუთაისის მაზრის ზარათის სოფლის ეკკლესიის მღვდელი სპირიდონ **ძოწენიძე**; რაჭის მაზრის, ბოსტანის სოფლის ეკკლესიის მღვდელი ალექსი **შარაბიძე**; **გურიის ეპარხიაში**: იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოს იგუმენი **არსენი**, რომელიც იმყოფება ოზურგეთის მაზრაში; ოზურგეთის მაზრის კათედრის სობოროს მღვდელი ბესარიონ **ჯაველიძე**; და ოზურგეთის მაზრის დზიმითის წმიდა კვირიაკეს ეკკლესიის მღვდელი თომა **მელუა**; გ) **კამილავკითა** — საქართველოს ეპარხიაში, გორის მაზრის ურბნისის სტეფანეს სობოროს მღვდელი ალექსი **სალარიძე**; ქ. თფილისის კათედრის სობოროს მღვდელი გრიგოლი **მღებრიევი**; იმერეთის ეპარხიაში, ქუთაისის მაზრის სოფლის ჩაჩანის ეკკლესიის მღვდელი გიორგი **შენგელია**; საქართველოს ეპარხიაში, ქ. გორის მიძინების ეკკლესიის მღვდელი მიხაილ **ნასკიდოვი**; **აბხაზეთის ეპარხიაში**. სუხუმის ოლქის სოფლის ქვითულის ეკკლესიის მღვდელი მათე **ხარებავა**; **იმერეთის ეპარხიაში**, ქუთაისის მაზრის საწულუკიძის სოფლის მღვდელი იოანნე **ქუთათელაძე**; ქუთაისის მაზრის სოფლის წყალტუბოს ეკკლესიის მღვდელი სპირიდონ **ფანცხავა**; ქ. ქუთაისის კათედრის სობოროს მღვდელი იოსებ **ჭეიშვილი** და **გურიის ეპარხიაში**: ოზურგეთის მაზრის პამპალეთის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ **ინცკირველი**; დ) **სკუფიითა** — **საქართველოს ეპარხიაში**—თიონეთის მაზრის, ნაქალაქევის Ⴖვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი იოანნე **ზუკაკოვი**; თიანეთის საპრისტავოს კვირაცხოვლის თომას ეკკლესიის მღვდელი კირიაკე **კირიაკოვი**; ვლადიკავკაზის ოლქის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი გრიგოლი **ვოჩახოვი**; გორის მაზრის, ხეთუბანის სამების ეკკლესიის მღვდელი სიმონ **მაისურაძე**; გორის მაზრის დირბის თეოდორეს ეკკლესიის მღვდელი პეტრე **სამადალოვი**; სიღნაღის მაზრის ჭოტორის Ⴖვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ **მჭედლოვი**; დუშეთის მაზრის და შავნეთის მთავარ ანგელოსთ ეკკლესიის მღვდელი ბასილ **ქე[illegible]აძე**; სიღნაღის მაზრის სოფლის ველის-ციხის Ⴖვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი იოსებ **ხარიტონოვი**; ქ. ალექსანდრეპოლის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ევსტრატი **აზიაძე**; თფილისის მაზრის პატარძეულის Ⴖვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია **კურდიანი**; გორის მაზრის ჭალის მიძინების ეკკლესიის მღვდელი ბასილ **პარკაძე**; ქალაქის მაზრის სართიჭალის ლაზარეს ეკკლესიის მღვდელი იოანნე **ხელსუნოვი**; თფილისის მაზრის მამქოდის Ⴖვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი თეოდორე **თურქაძე**; სიღნაღის მაზრის კარდანახის 1-ს მიძინების ეკკლესიის მღვდელი იოსებ **შიშნიევი**; გორის მაზრის ველცაეულის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ **სიმონოვი**; ქ. ნუხის სამთა მეტყველთა ეკკლესიის მღვდელი იროდიონ **ნანაშოვი**; **იმერეთის ეპარხიაში**: ქუთაისის მაზრის სოფლის ძევრის ეკკლესიის მღვდელი ნესტორ **რობაქიძე**; სენაკის მაზრის სოფლის ერაკეთის ეკკლესიის მღვდელი სიმონ **ნოდია**; სენაკის მაზრის სოფლის ლეფიცხვანიის ეკკლესიის მღვდელი პორფირე **ოსიძე**; ზუგდიდის სოფლის ეცერპერდის ეკკლესიის მღვდელი იოანნე **ჭანტურაია**; ზუგდიდის მაზრის ახალბედის სოფლის ეკკლესიის მღვდელი დავით **ხვინგია**; ქუთაისის მაზრის სოფლის კურსების ეკკლესიის მღვდელი დავით **ბერეკაშვილი**; შორაპნის მაზრის კლდეეთის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ლეონტი **მაჭავარიანი**; ლეჩხუმის მაზრის სოფლის ჩხუტელის ეკკლესიის მღვდელი მიხაილ **დაშნიანი**; **გურიის ეპარხიაში**: ოზურგეთის მაზრის ფიჩხი-ჯვარის Ⴖვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ **ჩხაიძე**, და ოზურგეთის მაზრის, წმიდა მოწამე კვირიაკეს ეკკლესიის მღვდელი იოანნე **ერქომაიშვილი**, და დ) **უწმიდესი სინოდის კურთხევითა**—**ქართლის ეპარხიაში**: გორის მაზრის სვენეთის მიძინების

ეკკლესიის მღვდელი ბართლომე ვიბილური; გორის მაზრის ახალქციხის თომას ეკკლესიის მღვდელი ფილიპე ელისაბედაშვილი; გორის მაზრის ქვემო ხანდაკის მიძინების ეკკლესიის მღვდელი გრიგორი რუსიევი; გორის მაზრის საქაბეთის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი შიო ტიტვინიძე; გორის მაზრის ფხვენის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი იოანნე კვინიკაძე; გორის მაზრის ქარელის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი ცხვედაძე; გორის მაზრის დქევის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი გაბრიელ ოქროპირიძე; თფილისის მაცხოვრის ფერიცვალების მონასტრის მღვდელ-მონაზონი შიო; თფილისის მაზრის ნორის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელი სამსონ ჩილიაევი; თფილისის მაზრის დიღმის წმიდა მარინეს ეკკლესიის მღვდელი გრიგორი გიორგიევი; თფილისის მაზრის ქიარიაქის ღვთის-მშობლის ეკკლესიის დიაკონი იოანნე კირიაკოვი; სიღნაღის მაზრის ტიმაანის თომას ეკკლესიის მღვდელი იოანნე დჟამასნოვი; სიღნაღის მაზრის ენისელის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელი დავით ჩახტაუროვი; ქავარგისის მადნის სადუღებელის ეკკლესიის მღვდელი ანანია კორელოვი; ვლადიკავკაზის ოლქის კადღარონის მთავარანგელოზის ეკკლესიის მღვდელი გიორგი სიკოევი; ვლადიკავკაზის მაცხოვრის ფერიცვალების სობოროს მღვდელი მიხაილ ფლეგინსკი; ვლადიკავკაზის ფერიცვალების სობოროს მღვდელი იოანნე ანდრეევი; ვლადიკავკაზის ოლქის არდონის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი კოზმა ტოკაევი; ვლადიკავკაზის ოლქის გიზელის მთავარ-ანგელოზის მიხაილის ეკკლესიის მღვდელი ონისიმე ჯანდიევი; ვლადიკავკაზის ოლქის ნარის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ბალაძე და ვლადიკავკაზის ოლქის მაცხოვრის ნათლის-მცემლის სობოროს მღვდელი ალექსანდრე ცალიკოვი.

# არა ოფიციალური ნაწილი.

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

> წარვედით და მოიმოწაფეენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა (სახ. მათ. თ. 28, მ. 20).

ამ წმიდა სიტყვებით Უფალმან ჩვენმან Იესო Ქრისტემან თვის კაც-ღმერთობის დროს უკანასკნელად მიჰმართა თვისთა მოწაფეთა, რომელთაც უწოდა მოციქულებად. ერთმა მათგანმა, სახელდობრ იუდა ისკარიოტელმა 30 ვეცხლად (25 მ. და 80 კაპ.) გაჰყიდა მართალი სისხლი (Ქრისტე), შემდეგ შეინანა „და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა, და განეშორა, და წარვიდა და მიშთვლიბა“ (მათ. 27, 5). დაშთნენ 11 მოციქულნი: „სვიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე და ანდრია, ძმა მისი იაკობ ზებედესი და იოანე; ძმა მისი, ფილიპე და ბართლომე, თომა და მათთეოზ მეზვერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს, სვიმონ კანანელი“ (მათ. 10. 2, 3 და 4).

ამ მოციქულთ აგრეთვე იუდასაც ჯერ Ქრისტეს ქვეყანაზე მყოფობის დროსვე მინიჭებული ჰქონდათ ძალა ქრისტიანობის ქადაგებისა და სასწაულთ მოხდენისა: „მისცა მათ ხელმწიფება სულთა ზედა არა წმიდათა, რათა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა“. (მათ. 10, 1).

მაგრამ ეს მოციქულნი Ქრისტეს ამაღლებამდის და სული წმიდის მოფენამდის მხურვალე მონაწილეობას არ იღებდენ ახალი რჯულის გავრცელებაში, არამედ სულ მუდამ გარს ეხვივნენ თვის ღმერთ-მოძღვარს და მისგან განიმტკიცებოდნენ სჯულის სწავლაში. მეათე დღეს Ქრისტეს ამაღლების შემდეგ, მათზე გადმოვიდა წმიდა სული „და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად“. ამ ნაირის სასწაულის შემდეგ მოციქულთა სხვა-და-სხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. ამ დროს იერუსალიმში, საცა მოჰხდა სული წმიდის მოფენა, იყვნენ სხვა-და-სხვა ტომის და მხრის წარმომადგენელნი:

> „პართნი და მიდონი, უჟიგნი, და ელამიტელნი და მკვიდრნი შუა მდინარისანი, ჰურიასტანისანი და კაპადუკიისანი, პონტოისანი და ასიასანი“ (საქ. 2. 9).

„ფარგჳაისანი და პამფჳლიისანი, ეგჳპტისანი და ადგილისა ლიბიისანი, კჳრინიით კერძონი და მოსრულნი ჰრომნი, ჰურიანი და მწირნი“ (სქმე 2. 10).

„კრიტელნი და არაბიელნი, გესმის იტყჳან რა ჩვენითა ენითა დიდებასა ღმრთისასა“ (სქმე 2. 11).

ამნაირად რომ განემტკიცნენ მოციქულნი მადლითა ღვთისათა, პეტრე გამოდგა სახლის ბანზე, უქადაგა და განუმარტა იქ შეკრებილთა ხალხთა მათ თვალთა წინაშე მომხდარი სასწაული ესე და იქვე 3,000 კაცმა ირწმუნა ქრისტე. ასრე სული წმიდის მოფენის დღესვე დაარსდა ეკლესია ანუ ქრისტიანთ საზოგადოება.

ეს იყო პირველი გამარჯვება მოციქულებისა. ამ დღიდგან ისინი განშორდნენ ერთმანერთს და გაემგზავრნენ იმ ქვეყნებისაკენ, რომელთა ენაც წილხდომილი ჰქონდათ სული წმიდისაგან. ჩვენ ქვეყანაში შამოვიდნენ მოციქულნი ანდრია, სიმონ კანანელი, რომელთაც ჰქადაგეს ქრისტეს რჯული დასავლეთ საქართველოში—იმერეთში (კოლხიდაში) და ზემო ქართლში სამცხემდის. ხოლო მოციქულმა ბართლომემ მოიარა საქართველოს აღმოსავლეთის მხარე, რომელსაც მაშინ ერქვა ალბანია და აქ დასთესა თესლი პოხიერი და მაცხონებელი. (იხ. მოთხრობა სოფრონისა გვ. 397), აქვე უნდა მოვიხსენოთ ის ფაქტი, რომ ამ მოციქულთ გარდა ჩვენი ქვეყნის განათლება—გაქრისტიანება სულის წმიდის მოფენის დროს ხვდა ღვთის-მშობელს. სტეფანე მთაწმიდელი ამბობს, რომ სულის წმიდის მოფენის შემდეგ მოციქულთ განიზრახეს წილის-ყრა იმის შესახებ, თუ ვის რომელი ქვეყანა წილად ხვდება, რათა ჰქადაგოს სახარება. მაშინ წმიდამან მარიამმა უთხრა მოციქულთა: „მეც მიყარეთ თქვენთან წილი: არ მინდა უწილოდ დავშთე. დეე, მეც მერგოს ქვეყანა, რომელსაც მარგუნებს უფალიო. წილის ყრით მარიამ დედას ერგო ივერია ანუ იბერია, ესე იგი საქართველო. როდესაც ღვთის-მშობელმა გააპირა ივერიისკენ გამომგზავრება, ანგელოსი გამოეცხადა მას და უთხრა: ნუ განეშორები იერუსალიმსა, წილხდომილი შენი ქვეყანა განათლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქა *) (წმ. ცხოვ. 15 მარიობისთვისა).

ამნაირად დედასა ღვთისასა ვერ მოუხდა ჩვენ ქვეყანაში შემოსვლა, თუმცა შემდეგ არას დროს არ დაუტოვებივართ უზრუნველად და ყოველთვის აღმოუჩენია ჩვენთვის თვისი დიდებული მფარველობა, რასაც ჩვენ დავინახავთ შემდეგში.

რაიცა შეეხება მოციქულებს, უნდა ვსთქვათ, რომ ყველანი მხნედ და გულს-მოდგინედ აღსრულებდნენ ქრისტეს დარიგებას და სწავლას. უშიშრად შედიოდნენ წარმართ სახლებში და იტანდნენ ყოველ-გვარ ტანჯვას და ჰქადაგებდნენ. ქრისტიანობას ბევრი მტერი ჰყვანდა და პოხიერი თესლი მოციქულთაგან დანთესილი ძვირად ჰპოულობდა იმნაირსავე პოხიერს ნიადაგსა. ქრისტიანებს წარმართთა აღმოუჩინეს საშინელი ბრძოლა. ქრისტიანებს ხოცვა-ჟლეტა, ჯვარცმა, ქვით ჩაქოლვა, თავის კვეთა და სხ. გამრავლდა. ყველა მოციქულები ტანჯულ, ჯვარცმულ იქმნენ, გარდა იოანე ზებედესი, რომელიც ღრმა მოხუცებულებაში აღესრულა.

ჩვენმა ხალხმაც, სხვათა შორის, იმსხვერპლა ერთი მოციქულთაგანი—სიმონ კანანელი, რომელიც ასაფლავია ნიკოპსში, (ბასფორში) სიმონ კანანელის ეკლესიაში. რაიც შეეხება ანდრია მოციქულს, იმის შესახებ ჩვენი მატიანენი და სხ. მწერალნი მოგვითხრობენ, რომ მოციქული ანდრია ტრაპეზუნდიდგან შამოსულა დასავლეთ ივერიაში, საცა პირველად უქადაგნია ქალაქ დიდ-აჭარაში; შემდეგ ყოფილა იგი კლარჯეთში, აწყვერში, ცხუმში (სუხუმში), სამეგრელოში, აფხაზეთში და აქედგან გადასულა იგი ყირიმში და ყველგან შავი ზღვის გარემოში უქადაგნია და უვრცელებია ქრისტიანობა. გარდა ჩვენთა მატიანეთა ამნაირადვე ამ მოციქულებზე მოგვითხრობენ სხვა მწერლებიც, მაგალითად ბერძნის მწერალი ნიკიფორე (Nikt. Lib. II გვ. 39), ნიკიტა პაფლაგონელი და სხ. მოციქულთა ცხოვრების აღმწერელნი.

აღვნიშნავთ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ მოციქულების შემოსვლამდე ჩვენ ქვეყანაში (40 წ.) ქართველთ გვარიანად ჰქონდათ გაცნობილი ქრისტეს განხორციელება, ქადაგება, ტანჯვა, ჯვარცმა და მისი ამაღლება.

ქრისტეს მეღროვე მეფე საქართველოში იყო შესანიშნავი ფარსმაკი ანუ ადერკი. ამან იმეფა 2 წ.,

---

*) მართლაც მარიამი დაშთა იერუსალიმში; დიდი ხნის შემდეგ მას გამოეცხადა მთავარ-ანგელოსი გაბრიელი და აუწყა მოახლოება მისი მიძინებისა, სიკვდილის დღისთვის მარიამ დედის სურვილისამებრ უფალმა მოახდინა ისე, რომ ყველა მოციქულები, გარდა თომასი, შეიყარნენ იერუსალიმში და ნახეს ქალწულის მიძინება. მოციქულთა დაასაფლავეს გვამი მისი გეთსამანიის ბაღში, მაგრამ მესამე დღეს, როდესაც ჩამოვიდა თომა მოციქული და მისი თხოვნით ახადეს საფლავი, ვეღარაფერი ვეღარ იპოვნეს, გარდა ქალწულის სამოსლისა. მაშინ ღვთის-მშობელი ანგელოსებით გამოეცხადა მათ და აუწყა თავის აღდგინება მკვდრეთით.

Ⴕრისტეს წინ, ვიდრე 60 წ. Ⴕრისტეს შემდეგ, როდესაც ურიანი ჯვარს-აცმიდნენ Ⴕრისტესა, მაშინ ყოვლის მხრიდგან ურიათა წარმომადგენელნი შეიკრიბნენ Ⴈერუსალიმში. ჩვენი ქვეყნის ურიათაგან, რომელნიც საქართველოში დასახლდნენ ნაბუქოდონოსორის დროს, მცხეთიდამ წავიდა ერთი ყრმა Ⴄლიოზი, *) რომელიც იყო ერთი „დასისათაგანი, დაჯენებული Ⴕრისტეს საფლავის დარაჯად. ვითარცა ჯვარს-აცვეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი; რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყველისა მიერ, რომელსა იტყვის: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ზედა განიგდეს წილი (მათე 27, 35). Ⴀი ეს კვართი Ⴓფლისა, რომელიც ქსოვილი იყო Ⴖვთის-მშობლისაგან, ჩვენი მატიანების და ეკკლესიის და სხ. მოწმობით წილად ხვდა ჩვენებურს ურიას Ⴄლიოზს; მან კვართი Ⴓფლისა მოიტანა მცხეთაშიდ და გადასცა დასა თვისსა სიდონიას, რომელმანც მაგრა გულზე მიიკრა იგი და მყის სული განუტევა. Ⴀმ მოვლენამ თავ-ზარი დასცა იქ მყოფთა და ყველა მცხეთელთა.

Ⴋაგრამ Ⴓფრო მით შეშინდნენ მაშინ, რომ კვართი Ⴓფლისა ვერაფერი ღონისძიებით ველარ გამოაცალეს მკვდარს სიდონიასა. Ⴄლიოზმა განიზრახა კვართიანად დის დამარხვა. მაგრამ ბევრი ეცადა და ადგილიდამ ვერ დასძრა. მოუწოდა მრავალთა ხალხთა და ვერც იმათ შეძლეს გვამის აღება. მოვიდნენ მეფის კაცნიც, მაგრამ იმათაც ვერა მოაგვარეს რა. მაშინ ეს დიდი საკვირველება აცნობეს მეფე Ⴃერკისა, რომელიც მოვიდა და ბევრი ეცადა, რომ ან კვართი გამოეხსნა სიდონიას გულიდამ, ან გვამი მისი შეეძრა ადგილიდამ. ბევრი ეცადა და ვერა გააწყორა. მაშინ სთქვა (ისტ. თეიმ. ბატ, გვ. 139): „Ⴈესო არს ერთი რომელიმე Ⴖმერთთაგანი და განგებითა Ⴖმერთათა მოსრულ-არს სოფლად და საკვირველებაჲ ესე მის მიერი არს და, ვგონებ ფრიად კეთილ არს ესე ქვეყანისა ამის ჩვენისათვის და მეფობისათვისცა ჩემისა, რომელ ნიჭი ესე მოევლინა ადგილსა ამას შორის სამოთხისა ამის ჩემისა... “იქვე მეფემ დააყენა ყარაულები Ⴄლიოზთან ერთად და თვითონ შინ წავიდა. რამოდენიმეხნის შემდეგ იყო მიწის ძვრა, გაიპო ის ადგილი საცა იდო გვამი სიდონიასი და შთანთქა იგი. Ⴀმ მოვლენამ უმეტესად შთაბექდა ხალხს რწმენა Ⴈესო Ⴕრისტეს Ⴖმერთობაზე. Ⴓფრო საკვირველი ის იყო, რომ სწორედ იმ ადგილს, საცა Ⴖვთის-განგებით ესვენა გვამი სიდონიასი Ⴈესოს კვართითურთ აღმოსცენდა კვიპაროზის ხე. ჩვენი ეკკლესიის გადმოცემით ამ კვიპაროზის ხის ტოტებს და ფოთლებს ჰქონდათ სამკურნალო ხასიათი. Ⴀვად-მყოფნი სნეულნი და ფრინველნი და მხეცნი ტყისანიც კი, ოდესაც შეეხებოდნენ მის ხის ტოტებს ანუ ფოთლებსა მყის, განიკურნებოდნენ სნეულებათაგან. Ⴀმ კვიპაროზს შემდეგ საუკუნეებშიაც არ დაუკარგავს თვისი ძალა, რასაც გავიგებთ ქვემო აღწერიდამ.

Ⴀსრე ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ერმა მოციქულების Ⴀნდრიას და სიმონ Ⴉანენელის შემოსვლამდე კარგად იცოდნენ ყველა-ფერი, რაც გადახდა ფარისეველთა მოწყალებით Ⴈესოსა.

Ⴋოციქულნი რომ შამოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს ქადაგება, ბევრნი, ძალიან ბევრნი ქრისტიანდებოდენ, ამხობდენ კერპებსა და აგებდენ ეკკლესიებსა. Ⴄს რომ გაიგო Ⴔარსმანმა ანუ Ⴀდერკი მეფემ განრისხდა უცხო ნათესავთა მის სამეფოში თავისუფლად მოქმედებისათვის და წყრომით უბრძანა Ⴉლარჯეთის Ⴄრისთავს, რომელმაც ნება დართო ხალხს რჯული გამოეცვალათ თავის საერისთაოში, რათა ქრისტიანობა სწრაფად ალგვილ იყოს იქაუროbიდამ. Ⴀდერკის უნდოდა შეპყრობა მოციქულთა, მაგრამ Ⴀნდრიამ მოასწრო და დროიანათ გავიდა ყირიმში, სიმონ Ⴉანანელი კი, როგორც ზემოთაც ვსთქვით, აღესრულა აფხაზეთში. Ⴕრისტიანთა დევნა ისეთი სასტიკი და შეუბრალებელი იყო, რომ მალე საქართველოში სრულიად მოისპო კვალი ქრისტიანობისა (იხ. Древ. исп. Груз. გვ. 65—66. ს. Ⴁარათოვისა).

Ⴇუმცა ასრე გვარწმუნებენ ჩვენნი მატიანენი ქრისტიანობის დევნის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება აქვე არ მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობები, რომლებიდამაც სჩანს, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში Ⴕრისტეს ჯვარ-ცმიდამ მოკიდებული, ვიდრე საქართველოს განმანათლებელის მოციქულთა სწორის Ⴌინამდის არ შეჩერებულა. მაგ. Ⴈრინეი (lib. I. cap. IX) და ბარონიც (Hist. Eccl. tom III, 327 წლის ამბები) ერთხმად ამტკიცებენ, რომ იმპერატორის Ⴒროიანისაგან Ⴐონტში და Ⴞერსონესში დამწყვდეულს Ⴐომის Ⴄპისკოპოსს Ⴉლიმენტის 100 წ. ქ. შემდეგ თავის სასწაულებით დიდი გავლენა ჰქონდა Ⴈვერიელებზე და Ⴉოლხიდელებზედ, რომელთაც მრავალგან ქრისტიანობა იწამესო. Ⴀგრეთვე რამდენიმე ხნის შემდეგ ამისა საქართველოში გა-

*) თეიმ. ბატონ. ამბობს, რომ ელიოზი იყო მღვდელიო და წინადაც ყოფილა იგი ერუსალიმშიო და ფილიპპე მოციქულის კარგი მეგობარი იყოვო. ამ ჟამად იგი პირდაპირ მივიდა ფილიპესთან, რომელმაც გააცნო იგი ქრისტესაო (ისტ. გვ. 1371).

მოჩდენ ადგილობრივნი ქრისტიანობის მწამებელნიც: პალმი, ეპისკოპოზი პონტისა და მისი შვილი ერეტიკოსი მარკიონი, რომლის მწვალებლობას წინ აღუდგა ტერტულიანი (იხ. Ист. груз. цер. გვ. 8. II. Іос.)

შემდეგ ნომერში მოვიყვანთ ცნობებს წმ. ნინაზე და მისგან საუკუნოდ ეკკლესიის დადგენაზე საქართველოში.

მოსე ჯანაშვილი.

---

## ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში.

ქრისტიანობის თესლი გარდავიდა ოსეთში ძალიან ადრე, თითქმის პირველ საუკუნეშივე. კავკასიაში მაშინ ქადაგებდნენ წმ. მოციქულნი: ანდრია პირველ წოდებული, თადეოზი, სვიმონ კანანელი და ბართოლომე. წმ. ანდრიამ დაიარა თითქმის მთელი კავკასია და მოარჯულა მრავალი რიცხვი სვანებისა, აფხაზებისა, ოსებისა და სხვ. ოსეთში ანდრია მოციქული გარდავიდა სვიმონ კანანელთან ერთად. აქ, ქალაქ ფოსტაფორში მათ თვისი ქადაგებით მოარჯულეს რამოდენიმე ასი კაცი. გარდა ამისა მდ. ეფრატზე სცხოვრებდნენ ოსები, რომლებიც გარდასახლდნენ თავის მეფის ასულის სათინინგთან ერთად. ეს უკანასკნელი იყო სომხების მეფის სუმბატის მეუღლე. სომხეთში მაშინ ჰქადაგებდნენ მოციქულნი თადეოზი და ბართლომე, რომლებმაც, სხვათა შორის, მოარჯულეს აქაური ოსებიც. გარდა ამ ორი ფაქტისა ბ. საბინინი ამბობს თავის ისტორიაში, რომ ეხლანდელი ოსები ჩამომავლობით არიან ძველი უქიკნი, რომლებსაც იხსენიებს წმ. მოციქული ლუკა წიგნში „საქმე მოციქულთა“ (საქ. მოც. თ. II—9). მცხეთელი ურია ელიოზი რომ მიდიოდა იერუსალიმშიო, თან მცველებად ოსები წაჰყოლოდნენო. იერუსალიმში ოსები სხვებთან ერთად ყურს უგდებდნენ მოციქულთა ქადაგებას და მიტომ ქრისტეს სჯული მიიღესო. შემდეგ ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას სცდილობდა ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო (314—325). აი, ეს ორიოდე ფაქტი, რომლებიდამაც მტკიცდება, რომ ოსებს პირველ საუკუნეშივე მიუღიათ ქრისტიანობა. მაგრამ თან-და-თან ოსებმა, რადგანაც მათ მღვდლები არა ჰყავდათ, დაივიწყეს ქრისტიანობა, მით უფრო, რომ მეოთხე და მეხუთე საუკუნეებში ოსეთი აოხრებული იყო სხვა-და-სხვა ბარბაროსთაგან. ჰუნნებისაგან, ავარელებისაგან და სხვ. ამიტომაც მკრთალი ლამპარი სახარების სწავლისა ოსეთში თან-და-თან სუსტდებოდა და სულაც გაჰქრებოდა, თუ რომ მე-VI საუკუნეში ოსები ბიზანტიის იმპერატორის ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. ბიზანტიის იმპერატორებმა იუსტინიანე I და იუსტიან II (522—556) დაიპყრეს ოსეთი და დანიშნეს აქ მისსიონერები, რომლებიც ავრცელებდნენ ქრისტიანობას. მაგრამ ბერძნების მისსიონერებს უშლიდენ სპარსელები, რომლებსაც მაშინ საშინელი ჩხუბი ჰქონდათ ბიზანტიელებთან.—მაინც ეტყობა, რომ ბიზანტიელებმა ძალიან გავლენა იქონიეს ოსებზე. ოსები იუსტინიანეს წმიდათ სვთლიან და იუსს უძახიან. ჩრდილოეთის ოსეთში იმყოფება ერთი ძველი ეკკლესია, რომელსაც ოსები უძახიან „იუსგუარს“ (იუსის ანუ იუსტინიანეს ეკკლესია). ქრისტიანობის გავრცელებამ ოსეთში იპოვა დაბრკოლება ჯერ არაბებში, რომლებიც შემოესივნენ აქ მე-VIII საუკუნის დასაწყისს და შემდეგ 728 წ.— ხაზარებში, რომლებიც მაშინ შევიდნენ აზიაში და დარიალის ხეობაზე გარდავიდნენ კასპიის ახლო-მახლო მინდვრებში. ამის შემდეგ ბერძნების მისსიონერებმაც შესწყვიტეს თვისი მოქმედება და ოსეთმა 931 წ. სულ მთლად ქრისტიანობა დასტოვა. მაგრამ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმათ ქრისტიანობაზე წარმოდგენა აღარ ჰქონოდათ. არა, ამ დროიდამ ქრისტიანობა და კერპთ-მსახურება აირივნენ ერთმანერთში და ოსები აღარც ქრისტიანები იყვნენ და კრიტიკულად რო გავსაჯოთ—არც კერპთ-მსახურები. იმ ეკკლესიებს, რომლებიც იუსტინიანე I-საგან იყვნენ აშენებულნი, ოსები წმიდა ალაგებად სთვლიდნენ და უძახოდნენ: „ძუარს“. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ზემოდ მოხსენებულ მიზეზებისა გამო ოსებმა ქრისტიანობა დასტოვეს 931 წელს, რომელიც აღნიშნულია „ისტორიკო-ქრონოლოგიურ დღიურში“. 931 წლიდამ დაწყობილი, ვიდრე თამარ-დედოფლის გამეფებამდე, ოსებში ქრისტიანობის გავრცელებას აღარავინ ზრუნავდა. მაგრამ თამარ-მეფემ იხმარა ყოველგვარი საშუალებანი, რომ ოსებში ქრისტიანობა კვლავ აღედგინა. იგი აშენებდა მრავალ ეკკლესიებს და ჰგზავნიდა აქ ქართველ მისსიონერებს, რომელთ შემწეობითაც ქრისტიანობა ისევ მალე გავრცელდა. ამ ჟამად „თამარ-დედოფლის“ დროის ეკკლესიები (რიცხვით ოცდა ათამდე) სულ მთლად დანგრეულნი არიან, გარდა ნუზალის მონასტრისა,

რომელზედაც უკვე გვილაპარაკნია. მე-XVI და XVII საუკუნეებში ოსეთს შემოესივნენ ყაბარდოელები. ხანგრძლივის ომების შემდეგ ოსებმა მიჰმართეს ქართველებს, რომ მათ რაიმე შემწეობა აღმოეჩინათ მათთვის, მაგრამ საქართველო მაშინ თითონ აოხრებული იყო სპარსელებისაგან და მისი ბედი ბეწვზე ეკიდა, მაშასადამე მას ვერ შეეძლო აღმოეჩინა ოსებისათვის რაიმე შემწეობა და თითონ ქართველები შემწეობას რუსებსა სთხოვდნენ. ამისა გამო ყაბარდოელებმა დაიპყრეს ჩრდილოეთის ოსეთი და აქ მაჰმადის სჯული გაავრცელეს. მაგრამ ქართველ მეფეთა თხოვნისა გამო რუსებს ჰქონდათ ხოლმე ქართველებთან კავშირი, ამიტომ ოსეთთანაც, რომლის რაოდენიმე ნაწილი 1771 წლიდამ რუსეთის მფარველობასა ქვეშე იმყოფებოდა. 1744 წ. ჩრდილოეთის ოსეთში დაარსდა ერთი საზოგადოება, რომლის ვალიც იყო ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში, მაგრამ 1769 წ. ყაბარდოელებმა დაანგრიეს მისი კანცელარია და თვით საზოგადოებაც გაუქმდა. 1771 ვიდრე 1792 წლამდე ოსეთში, როგორც ზოგნი ჰფიქრობენ (ბ. ლავროვი) 6600 სულზე მეტმა მიიღო ქრისლიანობა. 1745 წ. იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულმა გამოგზავნა ოსეთში რუსის მისსიონერები. იმავე წელს დაარსდა ქ. მოზდოკში „ოსური სასულიერო კამისია;" 1793 წლიდამ ამ კამისიის თავსმჯდომარედ იყო გაიოზი, მოზდოკის და მაჯარის ეპისკოპოსი, რომელმაც პირველად შეადგინა ოსური ანბანი *). 1814 წ. კამისია გარდატანილ იქმნა ქ. თბილისში არხ. დოსითეის თავსმჯდომარეობით. 1850 წლამდე ხსენებულმა კამისიამ აღაშენა თორმეტი ეკკლესია სამხრეთ ოსეთში და ათიც ჩრდილოეთ ოსეთში (სს. დარყავსში, სუდაგში, ზრამაგაში, დალომში და სხვ.) ერთ შესანიშნავ მოღვაწეთა შორის ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებისა უნდა ჩაითვალოს აგრეთვე არხიმანდრიტი იოსები (აწინდელ ვლადიკავკავის ეპისკოპოსი) 1860 წ. „ოსური სასულიერო კამისია გაუქმდა და მის მაგიერ დაარსდა კავკასიაში" მართლმადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება." ამ წლიდამვე მრავალმა მოღვაწე პირებმა (არხ. იოსებმა, დეკ. კოლიევმა და სუხიევმა, მღ. ალაჯიკოვმა, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ბ. ვ. ა. ცორაევმა, იმავე სემინარიის მოწაფემ მ. ჩოჩიშვილმა და სხვ.) იწყეს სამღთო წიგნების ოსურ ენაზე გადათარგმნა...

გიორგი ლიახველი.

*) როგორც ოსურ სასულიერო კამისიაზე, აგრეთვე ეპისკოპოზ გაიოზის მოღვაწეობაზე შემდეგ ცალკე სტატიაში მოველაპარაკებით მკითხველებს.

ავტორი.

---

## კახეთის სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა.

ჩვენ ყველამ, ვისაც კი გვესმის მღვდლის დანიშნულება, კარგად ვიცით, თუ რანაირი ენერგიული მოღვაწეობა, თავის განწირვა და, ერთი სიტყვით, სულით და გულით მონდომაა საჭირო ხალხის ბედნიერებისა და მათი სწავლა-განათლებისათვის. ის მღვდელი იწოდება ნამდვილ სულიერ მამად, რომელიც პატიოსნად ასრულებს თვის წმიდა მოვალეობას.

ხალხიც ამისთანა მღვდელს უფრო შეიყვარებს და ექმნება მისდამი ყოველთვის პატივის ცემა და გაგონება. თუმცა ბევრს მღვდელს ესმის თვისი წმიდა მოვალეობა, მიმდევარია იესო ქრისტის სწავლა-დარიგებისა, თითონაც ჰქადაგებს და აგონებს ხალხს, რომ იყვნენ ქრისტიანენი არა მარტო სახელით, არამედ საქმითაც, რომ მათ უნდა უყვარდესთ თავიანთი მოყვასი, ვითარცა თავი თვისი, მაგრამ ზოგიერთს მღვდელს, გულითაც რომ სურდეს თვისი დიდი მოვალეობის ასრულება, სამწუხაროდ, ხშირად არ შეუძლია თვის წმიდა მოვალეობის ასრულება და ამის მიზეზი არის მღვდლის სიღარიბე მატერიალურის მხრით. რა ჰქნას მართლა ღარიბმა მღვდელმა! თავის სარჩოზედ იფიქროს, თუ თავის მრევლის სწავლა-განათლებაზე? მრევლიც კიდევ იმდენად არ არის მომზადებული, რომ თავის მღვდელს თავისთავად სარჩო მისცონ. ორი-სამი წლის წინად ჩვენში იყო შემდეგი ჩვეულება: მღვდელს უნდა გადაეკიდნა ხურჯინი ცხენისთვის და უნდა ევლო თავის მრევლში კარის-კარ კოდი პურის ასაღებად. ზოგიერთ ადგილას მღვდელს სარჩოს მოკრეფაში ეხმარებოდა პოლიცია. ასეთი დრამის მოკრეფა ძლიერ ამცირებდა მღვდელს თავის მრევლის თვალში. ეხლა ეს სამი წელიწადია, რაც ახალი წესი შემოიღეს მღვდლების სარჩოს ასაკრებად: თვითონ გლეხებმა უნდა შეაგროვონ თითო კოდი პური კომლზე და ისე უნდა ჩააბარონ მღვდლებს. ახალმა საშუალებამ სულ გააფუჭა საქმე. ბევრი მღვდელი იქმნება, რო-

მელსაც ამ საშუალების წყალობით რამდენიმე წლის დრამა არ ექმნება აღებული. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ არც წინანდელი საშუალება დრამის მოკრებისა და არც ახალი არ ვარგან. ძალიან კარგი იქნება, რომ მრევლი თვითონ ჰკრებდეს ერთმანეთში მღვდლის სარჩოს და ისე აბარებდეს მღვდელს; მაგრამ, საუბედუროდ, ხალხი კიდევ არ არის მომზადებული, რომ ხეირიანად გაანაწილონ ერთმანეთში მღვდლის სარჩო და ისე მოკრიბონ და, მეორეც, ამის ხელის შემშლელია თვითონ ხალხის სიღარიბე.

მღვდელი რომ მატერიალურის მხრით დაკმაყოფილებული იყოს და მასთან ჰქონდეს ცოტაოდენი სწავლა, თუ მოინდომა, დიდს სარგებლობას მოუტანს თავის მრევლს თავისი ქადაგებით და დარიგებით; მაგრამ რა ჰქნას ჩვენმა სამღვდელოებამ, როდესაც იძულებულია იფიქროს მარტო თავის სარჩოზე, სახლობაზე და თვის ბინადრობაზე? კაცმა, რომელსაც ბინა არა აქვს, როგორ იცხოვროს? როგორ აღასრულოს თავის მოვალეობა? არა ნაკლებ გაჭირებას შეადგენს მღვდლებისთვის ეს უსახლკარობა. დაწესებულია, რომ ყველა მღვდელს უნდა ჰქონდეს საეკკლესიო სახლი. ბევრგან არ არიან მრევლებში ამისთანა სახლები და სადაც არიან, ისე საძაგლად არიან აშენებულნი, რომ მათ არც იატაკი აქვსთ და არც ჭერი და მასთან ცუდათ არიან დახურულნი. ამისთანა სახლებში დიდს გაჭირებას ითმენენ მღვდლები თავიანთი ოჯახობით. ზოგან ჩვენში ისეთი ღარიბი მრევლია, რომ მას არ შეუძლია მღვდელს სახლი აუშენოს და ამიტომ ამ მრევლის მღვდლები იძულებულნი არიან იარონ თავის მრევლში სხვა სოფლიდგან. რასაკვირველია, ასე პრიხოდზე დაშორებული მღვდელი ვერ შეასრულებს ყველა თავის მრევლის კანონიერ მოთხოვნილებას.

იმედი გვაქვს, რომ ვისიც რიგია, მიაქცევს ყურადღებას მღვდლების ამნაირ გაჭირებას და ცოტათი მაინც გააუმჯობესებენ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას.

კახელი მღვდელი.

## საჯარო ლექცია.

პირველს აპრილს თ. ნ. ტ. დადიანმა წაიკითხა (ან უკეთ ვსთქოთ—წარმოსთქვა) საჯარო ლექცია ქუთაისს ხარაზოვის შენობაში. ლექციას თემად ჰქონდა აღებული ქართველთ ცხოვრებიდამ ის ეპოქა და ის საგანი, რომლებზედაც დღეს განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეული თვით ევროპიელთ მეცნიერთაგანაც. თვით „ნარკვევი“ (პროგრამმა) ლექციისა აჩვენებდა, თუ როგორი გულ-მოსახვედრი იყო ქართველთათვის ლექციის შინაარსი,

ყველას ეგონა, რომ ამისთანა სამეცნიერო საგანზე ბ. დადიანი ისეთის ღრმა ენით დაიწყებდა ლაპარაკს, რომ ძნელი გასაგები იქმნებოდა მაყურებელთათვის. ამას მიტომ ფიქრობდნენ, რომ ნ. დ—ზე შეუდგენიათ ცრუ შეხედულება—ვითომც ის „ძველის ქართულით“ ლაპარაკობდეს. მაგრამ ეს წინასწარ რწმენა ტყუილი გამოდგა. იმაზედ უმარტივესი და უმდაბიურესი ქართული ძნელად თუ ვისმესგან გაგვიგონია. და ის ცრუ შეხედულება ალბად იქიდამ წარმოსდგა, რომ ნ. დ—ნი უცხო სიტყვას და უცხო ტერმინოლოგიას, სხვებივით, არ ხმარობს იქ, რომელთა სამაგიეროდ უკვე არის ქართული, ნამდვილი და ჩვენს ენასთან და მწიგნობრობასთან შეხორცებული, მაგრამ დროებით დავიწყებულია. თუ სადმე იმისთანა სიტყვა შეხვდებოდა, რომ უვიცობის გამო ზოგს „სხვა მეხად“ ეჩვენებოდა,—ის იქვე განმარტებას დასძენდა ხოლმე. მაგალითად, სიტყვები: უბუტი, ხვასტაგი, სამოგდენი და სხ... ამიტომაც თუმცა ლექტორი ერთობ სამეცნიერო საგანს შეეხო, მაგრამ, ყველასთვის მისაწდომი შეიქმნა ლექცია თავით ბოლომდის. მე იქვე, დასვენების დროს, განგებ ვჰკითხე ერთს უსწავლელს, მაგრამ ალღოიანს მეგრელ თავადიშვილს, თუ როგორ გასაგებია ლექტორის ჰაზრები. მან მიპასუხა: სრულებით ყველაფერი მესმის. მესმის, თუ ქრისტიანობა ისე ადვილად რად შეეთვისა ქართველების ზნეს და ხასიათს. მესმის, თუ როგორ ნაკლებად შეგვრჩენია ის ძველ-ქართველის ხასიათი ჩვენ დასავლეთის ქართველებს და როგორ ბევრად აჩნიათ იგი დღესაც აღმოსავლეთის ქართველობას. მესმის, თუ რა ვყოფილვართ და რა ვართ. მესმის თუ რა უსასყიდლო საუნჯე ყოფილა ჩვენ ქართველთათვის წიგნი „ნებროთიანი“. მაგრამა, განაგრძო მეგრელმა, ყველაზე უფრო გულს მომხვდა კვირის დღეების მეგრული სახელების განმარტება. რამდენჯერ მიფიქრია ამაზე: თითქო ყოველს მეგრულ

სიტყვას ძირი ქართულში აქვსო და ეს რასა ჰგავს: ქაშხა (კვირა), თუთაშხა (ორშაბათი), თახაშხა (სამშაბათი), ჯუმაშხა (ოთხშაბათი), ცააშხა (ხუთშაბათი), ობიშხა (პარასკევი), საბატონი (შაბათი), ესენი ვერ გამეგოო. ახლა კი კარგად მაქვსო წარმოდგენილი, რომ ეს ეგვიპტელების შემოხიზვნის დროიდამ მომდინარეობს, რომ კვირას მზის დღე ჰქვია, ხუთშაბათს ცის დღე, პარასკევს ვაჭრობის (ფრდის) დღე და სხ. ამას ყველას თავიანთი საფუძველი ჰქონიათო და ალბად ქრისტიანობის შემოღებამდის მთელ საქართველოში იგივე სახელები იყო კვირის დღეებისთვისაო.

თუ ამდენი უსწავლელმა კაცმა გაიგო, მაშ ვისაც, ცოტაც არის, საზოგადო განათლება მიუღია, ის ხო მეტსაც გაიგებდა. ამას ცხადად წარმოუდგებოდა კიდევ ის, რომ ახალის სარწმუნოების და რჯულის შემოღება შემმუსრველი ყოვლის ძველისა, არსად ისე მაზარალებელი არ ყოფილა ისტორიისა და ეროვნებისთვის როგორც ჩვენში. აუარებელი, მშვენიერის ხელოვნებით ნაქანდაკები ადრიანტალალმები სხვა და სხვა ღმერთთა წარმომადგენელნი უმსხვერპლია ქართველთა ქრისტიანობრივს მზრუნველობას და სასულიერო წოდების თავგამოდებითს მოღვაწეობასა...

ყოველივე წიგნი, რომელზედაც კი ხელი მისწდომია ჩვენს ეკკლესიის მწყემსთა, ცეცხლისათვის შთაუნთქმევინებიათ, როგორც წარმართული და ქრისტიანობის წინაალმდეგი.

ერთი უწარჩინებულესი ადგილი ამგვართ დევნულთ წიგნთა შორის, ჰსჭერია წიგნს, სახელად ,,ნებროთიანს". ეს ძვირფასი ძველთა-ძველი წიგნი ქართველებისა ლექტორს ჰქონია ოცის წლის წინად, მაგრამ, საუბედუროდ, სხვათა მრავალთა შორის ისიც დაჰსწვია. ლექტორს გაუგონია, რომ ეს წიგნი (ხელთნაწერად რასაკვირველია) იპოებაო საგარეჯოს მონასტერში. მაგრამ ნამდვილი ,,ნებროთიანია" ის თუ აპოკრიჭული, ეს კი არ ვიციო. უნდა ვიცოდეთ, რომ ნებროთიანს, როგორც სხვა-დასხვა სახელოვანს წიგნებსაც, გამოუწვევია ბევრი ცრუნებროთიანები — ნამდვილს გამოიცნობს მხოლოდ მცოდნე კაცი.

ეს პირველი ლექცია, ამბობს ლექტორი, არის მხოლოდ შესავალი იმ რამოდენისამე ლექციებისა, რომელთა წარმოთქმას იგი გვპირდება ნაადღგომებს. იქ დაწვლილებით და უფრო ყველასთვის მისაწდომად იქნებაო ყოველივე საგანი განხილული.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დეტალები იმ ლექციებისა ერთობ რამ სანუკველი იქმნება არა-თუ მარტო ქართველთათვის, არამედ მეცნიერებისათვის საზოგადოდ. შეცდებით მოკლე შინაარსი იმ ლექციებისა განვუზიაროთ ,,მწყემსის" მკითხველებს.

რაც შეეხება წარმოთქმისა გარეგნობას კიდევ ეს გვინდა შევუნიშნოთ ლექტორს, რომ სასიამოვნოა მისი ,,ტკბილქართული," მაგრამ ყოველ სიტყვაზე დასვენებაც არვარგა. ეს ასუსტებს ჩანაჩენს (**впечатлѣніе**). მაგრამ ჩვენ ამას იმითი ვხსნით, რომ ლექტორი ავად იყო და ანლებაც მთავრობისგან ერთობ უდროვოდროს მიიღო. მადადებაც არ შეიძლებოდა, დამზადებულიც არ იყო როგორც რიგია. მართალია ნ. დ—სთვის ანბანია ის, რაც სხვებისთვის ახალია, მაგრამ დამზადებაც კაი საქონელია. ამას გარდა, თუ მოხერხდება სასვენებზე (ანტრაქტებზე) ყურადღების მოსასვენებელი რამ ჩაურთოს. გარდა ამისა ადგილების ფასსაც რომ დაუწევდეს, არც ის იქმნება ურიგო.

X—X.

2-ს აპრილს.

## ძველი მწერლობა.

იესეს ძირთაგან აღმოცენებულისა და დავითის რტოდ აღმოფურჩვნილისა და სოლომონის ტომად სიბრძნითა სახინოსა და ღვთის-მეტყველებისა მადლსა ღირს ქმნილსა, ღვთივ გვირგვინოსნისა მეფეთ მეფისა და თჳთ კელმწიფის თეიმურაზის მიერ აღმოთქმული წ მ ი დ ა თ ა ქება, ანბანზედ ლექსად თქმული.

ადამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელი.
აბელ და სეით მოყვსითურთ მთასა წმიდასა მდგომელი.
აბრამ, ისაკ და იაკობ, ნოე სიმართლის მდგომელი,
ამათსა მეოხებასა, სულო, მე ვიცი, რომ ელი.
ბევრი არიან წმიდანი, ყველას ხსენება მწადიან,
ბერწთა ნაშობთა უმეტეს დედათ ნაშობთა ხადიან.
ბართლომე, ბაგრატ, სილოვან, ბარნაბაც დამიქადიან,
ბიკტორ, ბიკენტი წამიტანს, სადაც იგ ორნი წადიან.

Ⴂიორგის ვაქებ, დიმიტრის, მანოელ, სერგის, ბაქოსა,
გრიგოლიმ, დიდმა ბასილიმ, ვაჲთუ არც ერთმა მაქოსა,
გერმანოზ, ნილომ, ტარასიმ თუ რისხვით დამიბაქოსა,
გუნდი მარტვილთა მეწევის, ვევედრივარ წმიდას სტაქოსა.

Ⴃავითს ვევედრივარ, რომელსა Ⴖმერთი უძახდა მამასო;
დანიელს, ნათანს, გედეონს, მოწამედ გორდი მამასო:
დორეთემ, პროკლემ, ევტუქიმ, სად წავლენ-წამიტანოსო.
დიონოზ, ტიტემ. ტიმოთემ, სულსა არ დაულონოსო.

Ⴈსაია კმა მაღალსა, ელიას და ელისესე
ეზეკიელს, მელქისედეკს, სულის ხსნასა ელის ესე
ეთერიმ და ელევთერიმ თუ არ მიხსნას, მე ვიკვნესე;
ეგნატიმ თუ არ მიშველოს, მე მოვიმკო, რაცა ვთესე.

Ⴁენედიკტე, ამბერკიოს, კლემენტოზცა პაპა რომთა
ვასილიოს მღვდელ-მოწაჲე, ქაპიტონცა ერთად მსრბოლთა,
ვლასე, ლეონ, ლეონტიოზ, მშველად ვეძებ დაუშრომთა,
ვერ წაართმენ სულსა ჩემსა მათ ეშმაკი ერთად მგროვთა.

Ⴆებედეს ძეთა შევევედრებ სულსა და კორცსა გვამითო.
ზოსიმე მწედ მყავს ეშმაკო ახლოს ვერ მომეკარითო.
ზაქარიამ და ანგიამ ედემს შემაგდონ კარითო
და ზენონ და ქვიროს მეოხ მყავს—ცრემლი არ ვაწანწკარითო.

Ⴄვსები სამუსატელი Ⴕრისტესთვის ვინმე მიწამა
ენუქ მისცვალა Ⴓფალმან, იგ ვერ შეჭამა მიწამა.
ევსტატიმ ძითურთ მეუღლით კეთილი სიტყვა მიწამა
და ეე თუმცა შესვლად სამოთხედ, არ დამიყოვნოს მიწამა.

Ⴇომა, ანდრია, ფილიპე, მათე, მარკოზ და ლუკაო
თევდორე, სტირონ, სტრატილატ სამოთხეს დამანუკაო,
თვირსო, ლევკი, ქალინიკე მწედ მყავს, არ შემაწუხაო.
და თავს წამომადგნენ საშველად, როს თვალი დამეხუჭაო.

Ⴈოანე ოქროპირი, Ⴖვთის-მეტყველი მისი სეხნა
Ⴈაკობცა ძმა Ⴓფლისა ჩემად მშველად დამეკვეხნა.
Ⴈპოლიტ და სილიბისტრო, ვაჲ თუ რისხვით შემოჭეხნა
და Ⴈოაკიმს, ანნას სწადდეს—მე ეშმაკი ჩამომეხსნა.

Ⴉვირიაკოზცა ვევედრივარ ქოზმან და დამიანესა
ქვირიკე, Ⴈვლიტას თანა ან ის მიშველის ან ესა,
ქვირილე ათანასი-თურთ მეოხ-ჰყავს ქრისტიანესა
და ქარპოს სად წავა ბაბილა, ნეტამც თან წამიტანესა.

Ⴊაზარე წმიდა, მართალი მარიამ მერმე და მართა
ლავრენტიმ, დიდმა არსენიმ ჩემად საშველად დამართა,
ლუსიმა ხომ და არეთამ სულს ვევედრებ, კარგი დამართა,
და ლონგინოზ ჩემგან ნაქმარი მრუდნი საქმენი დამართა.

Ⴋატათან, სვიმონ, მათეოზ, Ⴈუდას მოციქულებსა,
მინა, ერმოგინ, მედრაფოს იმათ შევევედრებ სულებსა.
მერკვირის ჩემად მომკრესა სატანას დაასულებსა
და მაკარი მიხსნის უთუოდ, საწადელს აღმისრულებსა.

Ⴌიკოლოზ არს მეოხი, ჩემებრ ცოდვილთა მხსნელია.
ნექტარის მეოხებითა სულს ცეცხლი დაუნელია.
ნიკიფორემ და მეთოდიმ მე დამხსნას საქმე ძნელია
და ნისტორ, ნიკიტამ მაშოროს ეშმაკი საძაგელია.

Ⴍრ კელ განპყრობით ზღვა განელო მოსემ დაანთქა ფარაო
Ⴍნისიფორე მოწამედ თუ მასთან დამეხმარაო
Ⴍრმეოც სევასტიელთა მათ ერთი გაეპარაო
და Ⴍნოფრე მათთან მშველად მყავს, მე ცოდვა დამეფარაო.

Ⴎეტრე სამოთხის კარსა დგას, კლიტე კელთა აქვს სამეო
პავლე სოფლისა მნათობო, მასთან შენც მომეხმარეო
პანფილე თქვენთან შუა მყავს, მე ნუ დამაგდებ გარეო
და პანტელეიმონ მოწმად მყავს, ბაბილა მღვდელ-მოწამეო.

ჟექდეს უწყალოდ ოც და ათ მოწამეთ მელიტინესა
ჟიოდეს ნიკოდიმიას ცეცხლ შიგან შეითხინესა
ჟამსა მათ სცვიდა უფალი იგ კრიტელთ ვერ ატკინესა
და ჟესთა არს წმიდა სამება კმობდეს და დაიძინესა.

როფოს, ანბროსი და ნავკტოს, ალექსი კაცი ღვთისაო
რაფაელ, კვიროს, გრიგოლი მნათობი სამოთხისაო
რომანოზ კვირიანეთურთით, იაკობ დაჭრილისაო,
და როდიმ და კლიმიმ მომმადლოს მკვიდრ ყოფა სამოთხისაო.

საბა, ანტონი, ევთიმი, იოსებ წმიდა დიოდა
სისოს, პახუმის, ავქსენტის მათ ზედა ცრემლი დიოდა.
სვიმეონ დიდი მესვეტე დანიილ, ალვიპიოდა
და სასოება გაქვს თუ მათი, სულო, არ დაიწვიოდა.

ტროფიმე, დიდი პროკობი, კლავდი, ნეო და ნილოო
ტერიფონ, კონონ და არქიპოზ, პრისკენტი მყავს აკვილაო,
ტერენტი, ისაკ, დალმატი რომ პაპი დიდი ნილაო
და ტროფიმე, მაკრა თუ მიშველს, სხვა საქმე მეადვილაო.

უხორცოთ ძალთა მთავარი გაბრიილ მერმე მიქია,
უსხეულოთა კრებული ყველანი ერთად მიქია;
ურიელ მწედ მყავს, მათ თანა სატანა გამიქიქია
და ურჯელად სული წამგვარონ, ოდეს მივყვანდე იქია.

ფედიმონ, გრიგოლ ბრწყინვიდეს იგ ნეო, კესარიასა
ფილიმონ სამოცდა ათგანმან მისთა მოწამე ისსა
ფოკას შევევედრებ მე სულსა ხორცს დაუტეობ ჭიასა
და ფავსტი და ეფრემ მიჩვენებს სამოთხის კარსა ღიასა.

ქსენეფორე და პორფილი, პართენი, გერასიმეო
ქრისტეფორე და ანდრია, სპირიდონ, აკვინდიმეო
ქერსოვნეთის, ალათოდორე და წმიდა მამა პიმეო
და ქეთევან ქართველთ მეოხი ჩემად მწე მოვიხმი მეო

ღირტინელ ეპისკოპოსი ევმენიანე წმიდაო
ღალაკტიონ და ეპისტიმ ეფესელთ ყრმები შვიდაო
ღლიკერიმ ჩემზედ აღძრული ეშმაკი დაამშვიდაო
და ღირსი იონიკ მშველად მყავს, სული არ წამიწყმიდაო.

ყოვლნი წმიდანი ვადიდნე, რანიც მოვიდეს ენასა
ყრმათა მათ სამთა წმიდათა ვეჭუ დამხსნან ცრემლთა დენასა
ყური მომიპყრას ანთიმოს ჩემთა ლოცვასა სმენასა
და ყოვნის ისაკ, დალმატი და ფავსტე ჩემსა ლხენასა.

შიო მღვიმელი მოყვსითურთ დავით მყავს გარეჯელია
შილა, ურბანოს ჩამომხსნას, ეშმაკი ჩემი მრჯელია
შიოს და მმარხველს იოვანს სხვა მოწყალების მქნელია
და შვიდ წილად ჩემთვის ნაგზები მათ ცეცხლი დაუნელია.

ჩვილნი წმიდანი ვადიდნეთ ბაბილა მოწაფენი მე
ჩემკე არს სინას, რაითას მომწყდარნი რაოდენიმე.
ჩქარად მიშველოს მაქსიმემ და სოფრონ სულთა სენი მე
და ჩემნი ცოდვანი შემინდონ და მწყვიტონ ცრემლთა დენი მე.

ცათაგან დაუტევნელი სვიმიონ მკლავთა იტია
ცხრა დასმან ანგელოსთ გუნდმან ეშმაკი არ მომიტია
ცრემლნი შემაშრონ სამოთხეს, მეც მაქნევინონ ჭიტია
და ცხოვარმან მარჯვენით ალაგს კრებულმან მეც მიტია.

ძალნი კურნება ბევრი ქნა თესალონიკელ დავითო
ძილი მართალთა იპოვა მგზავრ ეპიფანე ნავითო
ძრწოდე რა სულო შენ გიხსნას იობმან მოსე შავითო
და ძალ-გვიცსო მისი შეწევნა ჩვენთვის იკვეხდა დავითო.

წმიდანი ორნი სტეფანე იგ ერთი დიაკონეო
წარმოსთქვა გრიგოლ ნოსელმან სიტყვა ღრმა გასაგონეო
წიგნები დამასკელისა გვაქვს ბევრი მოსაწონეო,
და წამიტანებენ სამოთხეს, კელს მკიდებს წმიდა ნუკოლეო.

ჭურსა რჩეულსა ნათელ-ეც, ჰრქვა მხსნელმან ანანიაო
ჭეშმარიტება ასწავა მან ცოდვა ანანიაო
ჭირთაგან მიხსენ ევსტატი მოყვსითურთ ჩემი მწიაო
და ჭმუნვა მით დამხსნან მიჩვენონ სამოთხის კარი ღიაო.

ხარალამპი, ამფილოქე დიდი წმიდა იკონელი
ხარიტონის შეწევნითა ჩემთვის ცეცხლი იყო ნელი
ხვრისანთემა აღუსრულოს სულსა ჩემსა საწადელი
და ხემან სვეტმან ქვართისამან განმინათლოს გული ბნელი.
ჴორცით მოსწყვიდნეს სამნივე გური, ავიბოს, სამონა
ჰმობდეს—ჩვენ რჯულსა არა ვგმობთ, თქვენ რად ხართ კერპთა მამონა
ჰრმლით ტანჯეს დიდი არტემი, ქვით მოკლეს წმიდა ამონა
და ჰმელთა ფლობასა იქ უჯობს ქრისტესთვის ვინც იწამონა.
ჯვარო, შენ მოგასწავებდა უდაბნოს გველი რვალისა
ჯოხისა ცემა მოსესგან კლდით გამოდენა წყალისა
ჯანგიანისა რკინისა ხით აღმოღება მალისა,
და ჯოჯოხეთს დამხსენ მექმნები შენგან დადება ვალისა.
ჰარონ მღვდელი და რომ პაპი გრიგოლი მერმე აგათო
ჰაბიათარ და მელეტი, ვექუ რომ დამიხსნან ამათო,
ჰრასაკი დიდი აკაკი მიხსნიან იგ ერთ წამათო
და ჰა ჰაი კეთილნი არ მქონან, ნეტარ რა უძლვნა ამათო.
ჰოი თქვენ ყოველნო წმიდანო ნუ დამსჯით თქვენსა მქებელსა
ჵოხა მომმადლეთ თქვენისა სახელის შემამკობელსა
ჵოდეს მოვიდეს განკითხვად, გაფიცებ დამბადებელსა
და ჵრთქლსა და კვამლსა მას ბნელსა დამხსენით ცეცხლსა მდებელსა.

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ქუთაისის მაზრის უმფროსის თანაშემწის ალშიბაიას გამჭრიახობით აღმოუჩენიათ ხონის ეკლესიის გამცარცველნი და დღეს სასამართლოს ჰყავს ისინი ხელში...

***

ჩხარის ბლაღოჩინის მღ. მოსე ჯუღელისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: ,,მე წავიკითხე ,,მწყემს"-ის **№ 2**-ში შენიშვნა, ვითომც ჩემგან მოხერხებულად მოხდენილ **ჩხარის** ეკლესიის მამულის ვაჭრობითი გაცემაზე მცირე ფასად, ამასთან შენიშვნაში იყო სხვათა-შორის მოხსენებული, რომ გლეხებმა სამოცდა ექვსი მანეთი წარუდგინეს ყოვლად სამღვდელოსაო ოღონდ მათ მიეცეს ვაჭრობით ეს ეკლესიის მამულიო. აი საქმე როგორ არის: ეს მამული მე მქონდა აღებული იჯარით თორმეტი წლის ვადით წელიწადში ხუთ მანეთად. ამ ბოლოს დროს კანტორამ ინება ვაჭრობით გაცემა. დავნიშნე ვაჭრობა წარსული წლის **18** ნოემბრისთვის, რომელიც ვაცნობე მამასახლისს, მაგრამ პირველ ვაჭრობაზე არავინ მოვიდა, მეორედ ვაცნობე და მივსწერე მამასახლისს ხალხისათვის თავი შეეყარა. მეორე ვაჭრობაზე გამოცხადდენ და ივაჭრეს. ამ ვაჭრობით ეს მამულები დაჩრა ერთს გლეხს **33** მ. როდესაც წარვადგინე ვაჭრობითი ფურცელი, მაშინ ერთი პირის შეგონებით მოუმატეს ფული და ეპისკოპოსმა ვაჭრობა გააუქმა, რომელიც არ უნდა მომხდარიყო ვიდრემდის ჩემგან პასუხი არ იქმნებოდა შეტანილი".

ყოველთვის შესაძლებელია ვაჭრობა გააუქმოს, თუ ვაჭრობა ეკლესიის სასარგებლოდ არ არის მოხდენილი. ამ შემთხვევაში არა თუ შეეძლო ვაჭრობის გაუქმება, არამედ კანონით არ შეეძლო, რომ არ დაერღვია ეს ვაჭრობა. მამა ბლაღოჩინს დიდ დასამტკიცებელ საბუთად მოჰყავს მისი მიწერილობა მამასახლისზე, რომ მას ხალხისთვის შეეტყობინებია ვაჭრობა. თუ მამასახლისმა არავის აცნობა? და ეს ხომ ადვილი მოსახერხებელია ეხლანდელ დროში? კანონიერად რომ ჩაითვალოს ვაჭრობა, აი როგორ უნდა მოიქცეს ბლაღოჩინი: სოფლის კანცელიარიის და ოთხი ხუთი სოფლის ეკლესიის კარებზე უნდა მიაკრას განცხადებანი ადგილების ვაჭრობით გაცემაზე; ამასთან დღესასწაულებზე გამოუცხადოს თავის სამრევლოს სახალხოდ ამაზედვე; შეიძლება ადგილობით გაზეთებშიაც გამოაცხადონ ეს. ყველა ესეებს

რომ ყოფილიყო აღსრულებული, დარწმუნებული ვართ, საქმე კარგად წავიდოდა. ბლ ლოჩინისაგან მოხდენილი ვაჭრობით წელიწადში შემოუდიოდა ეკკლესიას 33 მ. ,,სხვა პირის'' შეგონებით შემოუდის—ერთი ორად მეტი. კარგი შეგონებაა ღმერთანი! სასურველია, რომ ერთი ვინმე კიდევ შეაგონებდეს საზოგადოებას და ერთი—სამათ გახდიდეს იჯარის ფულს! ჩვენის აზრით ბლალოჩინი აქ მოხარული უნდა იყოს, თუ ეკკლესიისათვის ზრუნავს!...

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მამა პოლიევკტო კარბელოვი შესდგომია მართლ-მადიდებლის ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის შედგენას. ამ წიგნის საჭიროება დღეს ძლიერ საგრძნობელია. მღდავითნეებს განწესების დროს ასწავლიან ტიბიკონს, მაგრამ ძლიერ მალე ავიწყდებათ და მთელი კრებული დიდ გაჭირვებაში არიან ხოლმე ზოგიერთ ადგილას. ვიმეორებთ, ძლიერ საჭირო არის ტიბიკონის წიგნი და ვისურვებთ, რომ ტიბიკონის წიგნი ადვილ გასაგებად იქმნეს შედგენილი და კარგი გასაგები ენით დაბეჭდილი,

***

ჩვენ მივიღეთ ბროშიურა ,,მოკლე ისტორია ათონის ივერიის მონასტრისა'' შედგენილი რუსულ ენაზე ქართული ხელნაწერებიდამ ათონის ივერიის ბერებთაგან და დაბეჭდილი ამა წელსა ქუთაისში.

ამ ბროშიურიდამ მკითხველი შეიტყობს, თუ რა დროიდამ და ვისგან არის დაარსებული ივერიის მონასტერი ათონის მთაზე და როგორ უსაფუძვლოთ ძალადობით უნდათ ბერძნებს ჩაიგდონ ხელში ქართველების ძველი დროიდამ კუთვნილება. ფასი არ არის გამოცხადებული ამ წიგნისა და არც ის, თუ სად შეიძლება მისი მოპოება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მრავალნი სიამოვნებით წაიკითხვენ ამ წიგნს.

***

ჩვენ მივიღეთ პატარა ქართულს ენაზე დაბეჭდილი ბროშიურა ამ სათაურით: ,,წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო'', შედგენილი მღვდელ-მონაზონის კალისტრატესაგან. ბროშიურა კარგის ენით არის დაწერილი. სხვა კიდევ უფრო შესანიშნავი მონასტრებია საქართველოში და ძლიერ კარგი იქნება, რომ ყველა მონასტრების ამისთანა აწერილობა გვქონდეს.

***

ხმები ისმის სასულიერო სასწავლებლების პროგრამაში ცოტა რამ ცვლილების მოხდენაზე. ამბობენ, რომ მთელ-საექსარხოსოში ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლები განიყოფებიან ორ ნაწილად: მთელს საექსარხოსოში ეხლა არის ექვსი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელები. სამს ამათგანში იქნება სწავლება ბერძნული ენისა და სამსში დანარჩენში ლათინური ენის სწავლება. აგრეთვე სასულიერო სემინარიაში შაგირდები იქნებიან ორ ნაწილად გაყოფილნი. ერთი ნაწილი ისწავლის ბერძნულს და მეორე—ლათინურს. ფრანციზული ენის სწავლება იქმნება დამოკიდებული შაგირდების სურვილზე. ფილოსოფიის საგნების სწავლება შემდეგ სამასწავლებლო წლიდამ სულ გამორიცხული იქმნება პროგრამიდამ.

## ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

,,დროებაში'' გვითხულობთ: ,,ფ. ქორიძემ თავის ხარჯით გამართა ქ. ქუთაისში ორი კონცერტი ქართულის გალობისა და სახერის სიმღერებისა. მე, როგორც მოყვარული ქართულის გალობისა, ორივეზედ დავესწარი და ჩემი აზრი მის შესახებ მსურს გამოვუცხადო ბეჭდვის საშუალებით ქართველთ საზოგადოებას.''—

,,მე გაგონილი მქონდა, რომ ფ. ქორიძემ ქართული წირვის წესი, ე. ი., საგალობელი და ზოგი სალხინო გალობა და სიმღერები ნოტებზედ გადიტანა და მღერიანო. მაგრამ რადგან ცოტა-ოდენად გასინჯილი მაქვს ამ საგანში სმენა, მე ეს სრულებით არ მჯეროდა; არა მჯეროდა განსაკუთრებით მისთვის, რომ ჩვენი გალობა და სიმღერები ისეთის დაწმაწნილის მიხვრა-მოხვრით და კილოთი არიან შედგენილნი, რომ ნოტებზედ იმათი უსულების გარჯიში თუ შესაძლებელი იქნებოდა, არას დროს ვერ წარმოვიდგენდი; შემდეგ ესრეთის ჩემის იჭვნეულობისა, რასაკვირველია, ყურადღებით დავუკვირდებოდი მათს მღერას, რომელმაც, ჩემდა სასიამოვნოდ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. ერთის სიტყვით, უეცრად შემიცვალა ჩემი ეჭვები და დამარწმუნა სრულებით, რომ ყოველი ქართული გალობა და სიმღერები, რაც უნდა გამშვენებული და გავარჯიშებული იყოს, უნაკლულოდ თურმე გადიღება ნოტებზედ. იგალობეს ნამდვილის კილოთი, შეუცვლელად: 1) ,,მოვედით თაყვანის ვსცეთ'', 2) ,,წმიდაო ღმერთო'', 3) ,,ღირს არს ჭეშმარიტად'', 4) ,,უფალო შეგვიწყალენ'' და 5) ,,ისპოლა'', ხოლო დანარჩენი ,,რომელნი ქერაბინთა'', იგალობეს მერვე ხმაზედ, ,,შენ-

დამი ისარებს" კილოზედ, მაგრამ არ გამოვიდა კარგად. ეგრეთვე ,,განმანათლებელი" და ,,შენ გიგალობთ" არ გამოდიოდა მართალის კილოებით, რადგან მუხლები და უხულები გააგრძელეს. ხოლო რაიცა შეეხება სახალხო სიმღერებს: ,,სასან-ბეგური", ,,ხელ-ხვავია" და ,,დელივადა" გვარიანად იმღერეს და დანარჩენები კი გასწორებას საჭიროებენ. ფორტეპიანოს უკრავდა დიად განშვენებულად და გავარჯიშებულად, ისე მოქნილად, რომ თვით მგალობლებს ემღერნათ, მაშინ მშვენიერი რამ სასმენელი იქმნებოდა. მაგრამ მგალობლებს არც ხმის სიმაღლე აძლევდათ ნებას და არც თვით ხმები აქვთ ჯერ-ჯერობით შეჩვეული და დაქნილი ვარჯიშობისათვის. ბ. კიკნაველიძე კი სამაგალითო ხმის პატრონი არის, ძვირად ვისმეს ექმნება იმისთანა სრული და სასმენელად ტკბილი ბანის ხმა, მაგრამ რადგან ევროპიულს სიმღერებზედ ჰქონია გაწვრთნილი ხმა, ჯერ კიდევ ვერ შეუჩვევია ჩვენს კილოზედ და როდეს გაეჩვევა და გაეცნობა ქართულს გალობას, თვით თავით თვისით დაექნება ხმა ვარჯიშობაში ისე, რომ სწორედ დიდად სასიამოვნო იქმნება მისის ძლიერისა და მქუხარის ბანის მოსმენა.

ფორტეპიანოზედ მღეროდნენ ოთხნი პირნი და იწყებენ თითქმის ყველანი ერთისა და იმავე ხმებით. ქართული გალობა უნდა შესდგეს სამის პირისაგან: პირველი არის მთქმელი, მეორე მაღალ-ბანი და მესამე ბანი. დაწყების რიგი ეკუთვნის მთქმელს და მაღალ ბანმა და ბანმა მიგნებულის ხმებით უნდა შეაწყონ დამწყებს.—შეიძლება ოთხმაც იგალობონ, მაგრამ ორი მათგანი ბანს უნდა ამბობდნენ ერთ-ხმად ისე, რომ მსმენელის ყურში მათი ბანი განცალკევებულად არ უნდა ისმოდეს; თუ ორი ბანის მთქმელნი მიუთვისებელნი შეიქმნენ ხმებით, მაშინ გალობას თავისი შნო დაკარგული ექმნება."

,,არის ზოგიერთი ჭრელი საგალობლები, იმისთანა, რომელნიც, შეიძლება ხუთმაც იგალობონ, ასე რომ მთქმელს, მაღალ ბანსა და დიდ ბანს გარდა, მეოთხე იტყვის კრინსა და მეხუთე დვრინსა: ხუთზედ მომეტებულმა რიცხვმა თუ ერთად იგალობეს, მაშინ გალობას ქართული შნო და სახიათი დაეკარგება, დამახინჯდება და მიემსგავსება ევროპიულს მუსიკალურს სიმღერებს. ხოლო ჩვენი ქართული სახალხო სიმღერები უნდა იმღერონ ექვსის რიცხვიდგან რვა პირმა და თუ რვაზედ აღემატენ რიცხვით მომღერლები, ისიც დამახინჯდება და დაუშნოვდება."

,,ახლა დავუბრუნდეთ ბ. ქორიძის პატიოსანს შრომას. ავიღოთ მაგალითი: ერთმა ლამაზმა ქალმა და მეორე მახინჯმა მიმართეს მხატვარს თავიანთ სურათის გადასაღებად. მხატვარმა ლამაზი კი—ლამაზად გადიღო და მახინჯი—მახინჯად, ერთის სიტყვით, იმათი სახე ნამდვილად გარდასახა, ე. ი. კარგისა—კარგად და ცუდისა ცუდად. აქ მე მგონია, მხატვარი სრულებით მართალი რჩება და თუ რომელიმე უგუნური გაამტყუნებს იმაში, რომ რატომ ორივე ქალის სახე ლამაზად არ გადასახატაო, ეს იქმნება დიდი შეცდომა და უმართლო საყვედური. ბ. ქორიძისათვის რომელი გალობაც კი შეუმცდარის და მართალის კილოთი უჩვენებიათ,—სრულებით შეუმცდარად და უნაკლოდ გადაუღია, და რომელიც გაფუჭებულის კილოთი უჩვენებიათ.—მაგაში უნდა გავამტყუნოთ მაჩვენებელი და არა ბ. ქორიძე."

,,ქართული გალობა გაქრება მაშინ, როცა ჩვენში ეხლანდელი მგალობლები დაიხოცებიან. ამას ბევრი დამტკიცება არ ეჭირვება. მარტო ეს გარემოება არის საკმაო, რომ ისინი, რომელთაც გალობა იციან თავიანთ შვილებს აღარ ასწავლიან და აღარც ბავშვებსა აქვთ დრო და სურვილი გალობის სწავლისა. საუბედუროდ ჩვენდა, კერძო სასწავლებლებიც არ არის იმერეთსა და გურიაში ქართულის გალობისა. ეს თუ ასე არის, მაშასადამე, ბ. ქორიძე უდიდესი მადლობის ღირსი არის ჩვენის საზოგადოებისაგან. ეს კეთილი საქმე მის გარდა, სხვებს თავში არ მოსვლიათ და არ უფიქრიათ, და თუ უფიქრია ვისმეს, მაინც ის ფიქრი მარტო ფიქრად დაშთენილა და არა საქმედ; გალობის ნოტებზედ გადაღება იქნება საუკუნო ძვირფასი განძი ქართველობისათვის, რადგან ის დაცული და შენახული იქნება თვით ქართველის ხალხის დედამიწიდგან გაქრობამდის... მხოლოდ ამას ვიტყვი და კიდევაც ვურჩევ ბ. ქორიძეს, რომ რაც ეხლა გადაღებული აქვს ნოტებზედ, ჯერ არ უნდა დაბეჭდვინოს. თუ საშუალება ნებას მისცემს ბ. ქორიძეს, მიმართოს იქ, სადაც აქამომდე რიგიანად შენახული არის ქართული გალობა და სიმღერები, ე. ი. გურიაში და იმერეთში, დაჰყოს იმ პირებთან ერთი თვე მაინც, რომ გაასწოროს და შეისწავლოს გალობა და სიმღერები და შემდეგ ამისა ნოტებიც დაბეჭდვინოს. თუ რომ ასე დარჩა, როგორც ეხლა არის შედგენილი, მაშინ ნაცვლად გადაკეთებისა, გადაფუჭება იქნება ამ ყოვლად დიდებულის საგნისა. იმედი მაქვს, თვითოეული ქართველი, რომელსაც ესმის და იცის გალობა და სიმღერები არ დაიშურებენ თავიანთ შრომას და აღმოუჩენენ ბ. ქორიძეს ამ საქმეში ყოველ გვარს შემწეობას."

,,სულით და გულით ვუნატრი ბ. ქორიძეს, რომ ესრედ დიდებული და წმიდა აზრი შეესრულებინოს და კეთილად დაეგვირგვინებინოს თავისი უზოგველის ღვაწლით და ქართველობის შემწეობით."

# განცხადებანი.

## იბეჭდება და ცოტა ხანში გამოვა

## ლოცვანი

მეორე გამოცემით და დამატებით.

შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძისმიერ.

---

## სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკკლესიის შენობაში.

Იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს, სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს და სხვ.

Სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

Სტამბა კისრულებს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

Ჰსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ. Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе.

---

## 1884 წ. იანვრის თვიდამ

ქ. თბილისში

გამოიცემა ყოველ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

## „ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი „ნობათი“-სა იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ-მიწევნით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ფორმატისა და თითო წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებიან პეტერბურგში.

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვა.

დამატებაში — მშობელთა და აღმზრდელთათვის — დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ. ნარევი. „ნობათი“-ს ფოსტა. განცხადებანი.

ჟურნალზე ხელის-მოწერა:

ჟურნალი „ნობათი“ ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ღირება ო თ ხ ი მანეთი. Ცალკე ნომერი ა თ ი შაური. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

სოფლის მასწავლებლებთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკენისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ,

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში—ჟურნალი „ნობათი“-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის ქვემოთ, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შავერდოვის წიგნ. სააგენტ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

გორში—მ. კ. ფურცელაძისას.

თელავში—ი. პ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію педагогическаго журнала „Новати“.*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

1884

# მიიღება ხელის მოწერა ქართულ სასულიერო გაზეთს
# „მწყემსზედ“

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოსციელო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ მარტის თვიდამ; ფასი მარტიდამ გაგზავნით და გაუგზავნელად—**ოთხი მანეთი** და **ათი შაური**, ნახევარი წლისა—**სამი მანეთი**.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული სასულიერო გაზეთის „**მწყემსის**“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). **Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.**


საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

**სიტყვანი და შესხმანი**

ჩადალ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ეგზარხოსის პავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი—538 გაბადონი.

ფასი სამივე ტომ. **ოთხი მან.** და **ათი შ.**

წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი“-ს რედაქციიდამაც.



**სტამბა**

დაარსდა 1881 წ.

**ვ. ზედგინიძისა და პ. ფერაძისა**

**ქ. ქუთაისში.**

გიმნაზიის ქ. ივ. ნიკოლაძის მემკვ. სახლ.

ჩიღებთ ყოველ-გვარ საქმეებს დასაბეჭდათ, როგორათაც რუსულს, აგრეთვე ქართულს ენებზედ: წიგნებს, ბროშიურებს, ბლანკებს, სჩოტებს, იარლიკებს, ვიზიტნი კარტოჩკებს, აფიშებს, ვექილობის წერილებს, განცხადებაებს და სხვ. ამავე სტამბაში ისყიდება დამზადებული ქართულს ენაზედ **მეტრიჩესკის ბლანკები.** იმედია, როგორათაც დღემდის კმაყოფილი დარჩენილა საზოგადოება ჩვენი სტამბისაგან, აგრეთვე შემდეგშიდაც—დარჩება, რომ ამ სტამბაშიდ გამოდის საქმე სუფთათ და უნაკლულოთ შედარებით ქუთაისის სხვა სტამბებთან, რომელზედაც თვით პატივცემული საზოგადოება, რომელსაც კი ესმის სტამბის საქმე—დაგვეთანხმება.



*Дозв. цензурою Кутаисъ, 16 Апрѣля 1884 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.